

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №279

26 სექტემბერი 2014 წელი, თბილისი, საქართველო

2014 წლის 26 სექტემბერს 11:00 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, ქეთევან მსხილაძე, ნათელა სახოკია, მარინა მუსხელიშვილი, გიორგი კობრეიძე, ლელა გაფრინდაშვილი და ალექსანდრე ვახტანგოვი. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხი:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის ინფორმაცია, მაუწყებლის საინფორმაციო სისტემის მულტიმედიურ საინფორმაციო სისტემაზე გადასვლის პროცესის შესახებ.
2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ განვითარების ზოგადი ორიენტირები.
3. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს სამუშაო გრაფიკის შედგენაზე მუშაობის შესახებ.

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია უძღვებოდა. სხდომას საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით ესწრებოდა მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი.

პირველი საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

შემდეგ გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ სამეურვეო საბჭოს წევრმა მარინა მუსხელიშვილმა სამუშაო შეხვედრებზე წარმოადგინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ განვითარების ზოგადი ორიენტირების შესახებ წერილობით მომზადებული პროექტი, რომელზეც საბჭოს წევრებმა რამოდენიმე სამუშაო შეხვედრაზე იმუშავეს, პროექტში იქნა ყველა საბჭოს წევრის მოსაზრება გათვალისწინებული და მიმდინარე სხდომაზე გენერალური დირექტორისთვის გადასაცემად წარმოდგენილია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ განვითარების ზოგადი ორიენტირები, წერილობითი ფორმის შეჯერებული ვერსია, რომელიც გენერალურმა დირექტორმა, მაუწყებლის სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფთან ერთად უნდა გამოიყენონ მაუწყებლის სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში. გრიგოლ გოგელიამ მიმდინარე სხდომაზე სრულად წაიკითხა სამეურვეო საბჭოს წევრების მიერ დაწერილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ განვითარების ზოგადი ორიენტირები, საბჭოს წევრმა მარინა მუსხელიშვილმა აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ რაიმე სხვა მოსაზრებებს სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფის მხრიდან არ გავიზიარებთ, გრიგოლ გოგელიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ

მაუწყებლის სტრატეგიაზე მუშაობის პროცესზე უნდა განხორციელდეს კონტროლი, სამეურვეო საბჭოსთანაც საჭიროა გაიმართოს შეხვედრები, რათა სამეურვეო საბჭოს წევრები გარკვეულები იყვნენ რა მიმართულებით მუშაობს სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფი, ასვე აუცილებელია საჯარო განხილვებიც მოეწყოს არსამთავრობო ორგანიზაციებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან. შემდგომ გრიგოლ გოგელიამ კენჭის ყრაზე დააყენა სხდომაზე წარმოდგენილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ განვითარების ზოგადი ორიენტირების წერილობითი ვერსია, რომელსაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი. (ტექსტის ასლი გადაეცა გენერალურ დირექტორს და ოქმსაც თან ერთვის).


მეორე საკითხი

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ საბჭოს წევრი ნათელა სახოკია იმუშავეს დანარჩენ საბჭოს წევრებთან შეთანხმებით, სამეურვეო საბჭოს სამუშაო განაწესის შექმნაზე.

მესამე საკითხი

მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ბარათაშვილმა, საბჭოს წევრებს წარუდგინა მაუწყებლის საინფორმაციო მიმართულების, მულტიმედიურ სისტემაზე გადასვლის გეგმის გრაფიკი. საკითხის განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. საკითხზე მსჯელობის დასრულების შემდგომ გრიგოლ გოგელიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა, საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ (2014 წლის 26 სექტემბრის საბჭოს სხდომის სრული ვიდეო ჩანაწერი განთავსებულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე: <http://gpb.ge/BoardDecision.aspx?LangID=1>).

საბჭოს თავმჯდომარე



გრიგოლ გოგელია

სხდომის მდივანი

ირინე ზაქარიაშვილი

საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების ზოგადი ორიენტირები

საზოგადოებრივი მაუწყებელი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის განვითარების ხელშეწყობის, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისა და თითოეული ადამიანის ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.

საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების საშუალო ვადიანი ხედვის ზოგადი ორიენტირები შემდეგია:

1. საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა ემნიდეს პლატფორმას პიროვნების ინტეგრირებისთვის სოციუმში და სამოქალაქო სივრცეში. ის უნდა იყოს ორიენტირებული არა ერთფეროვანი უმრავლესობის ფორმირებაზე, არამედ საზოგადოებაში არსებული მსოფლმხედველობების, ინტერესებისა და იდენტობების კალეიდოსკოპური მრავალფეროვნების ასახვაზე, გახდეს ყველაზე ინკლუზიური მაუწყებელი. მან ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების სტრუქტურირებას ინტერესების, მსოფლმხედველობებისა და იდენტობების (სუბკულტურების) მიხედვით. თანამედროვე მულტიმედიური საშუალებები და უკუკავშირის ქსელური მექანიზმები მაუწყებელს ამ მიმართულებით დამატებით შესაძლებლობებს უქმნის.
2. საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იბრძოდეს იმისთვის, რომ საქართველოს მედია სივრცეში წამყვანი ადგილი დაიკავოს. საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა გახდეს ის ძირითადი ასპარეზი, სადაც საზოგადოება თავის საჭირობოტო პრობლემებზე მსჯელობს.
3. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სამაუწყებლო სივრცეში საკუთარი ნიშა უნდა დაიკავოს. მაუწყებლის განვითარების სტრატეგიაში ძირითადი აქცენტი განსხვავებულობასა და “თეთრი ლაქების” შევსებაზე უნდა გაკეთდეს. ბაზრის შესწავლისა და რესურსების გადანაწილების გზით მაუწყებელმა უნდა შეძლოს წარმატების მიღწევა მაღალი ხარისხისა და ორიგინალური პროდუქციის ეფექტიანი შერწყმით.
4. მაუწყებელი უნდა იყოს ახლოს საზოგადოებასთან, გრძნობდეს და წარმოაჩინდეს ახალ ტენდენციებსა და განწყობებს, რომლებიც საზოგადოებაში ჩნდება, საზოგადოებრივი ცხოვრების პულსზე მუდმივად ეჭიროს ხელი. მაუწყებელი უნდა ემნიდეს სივრცეს, სადაც იბადება სიახლე, რომელიც ეხმარება ინდივიდებს და საზოგადოებას წარმატებასა და წინსვლაში.

5. მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებაში არსებული პოლარიზების გადალახვას, საჯარო სივრცეში არსებული უნდობლობის, ნეგატივიზმისა და სიმბოლური ძალადობის შერბილებას, კონსტრუქტივიზმზე და განვითარებაზე ორიენტირებული კომუნიკაციის კულტურის წახალისებას.

6. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა დაამკვიდროს ისეთი ჟურნალისტიკა, რომელიც გამორიცხავს საზოგადოებით მანიპულირებას. მაუწყებელმა საზოგადოების ნდობა უნდა მოიპოვოს მაყურებელთა მიმართ ნდობით, მათდამი ღირსეული მოპყრობით და იმის რწმენით, რომ მაყურებელს აქვს ავტონომიური უნარი კარგისა და ცუდის, სიკეთისა და ბოროტების გარჩევის. კარგი ჟურნალისტიკაგულისხმობს გულწრფელობასა და კეთილსინდისიერებას.

7. საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს დამოუკიდებელი და ავტონომიური საკუთარი დღის წესრიგის ფორმირებისას. დღის წესრიგის ფორმირებისას უპირატესობა მიანიჭოს საზოგადოების და მისი ჯგუფების ინტერესებს, პრობლემებს და ღირებულებებს. ის უნდა იყოს საზოგადოების ხმა საჯარო სივრცეში, ხელს უწყობდეს საზოგადოების მიერ პოლიტიკის დღის წესრიგზე გავლენის მოხდენას. დემოკრატიის განმტკიცებას მან ხელი უნდა შეუწყოს როგორც ხელისუფლების კონტროლით, ასევე პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირებაში საზოგადოების თანამონაწილეობის არხების შექმნით, პროაქტიური და პასუხისმგებლური მოქალაქეების რეპრეზენტაციით.

8. კონკურენცია, შეჯიბრი და დებატები მნიშვნელოვანია დემოკრატიის გამართული ფუნქციონირებისთვის, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია კოოპერირება, მსჯელობა და ანალიზი. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა შექმნას საჯარო სივრცე, სადაც ის, პლურალისტური, გულწრფელი, ღია და პროფესიული მიდგომით, დაამკვიდრებს საზოგადოებისთვის აქტუალური თემების განხილვის ახალ, ნაკლებად ანგაჟირებულ სტილს.

9. გასართობი პროდუქციის წარმოებისას მაუწყებელი უნდა ხელმძღვანელობდეს ამავე ზოგადი პრინციპებით, რაც გულისხმობს გემოვნებისა და ინტერესების მრავალფეროვნების ასახვას, “თეთრი ლაქების” შევსებას. გართობა ხელს უნდა უწყობდეს მაყურებელთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. “თეთრი ლაქების” შევსებისას მაუწყებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მაღალმხატვრულ პროდუქციას. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ, განსხვავებით სოციალ-პოლიტიკური ხასიათის პროდუქციისგან, ამ სფეროში მაღალია უცხოური პროდუქციისა და

ფორმატების წილი. მაუნყებელმა ხელი უნდა შეუწყოს გასართობი პროდუქციის ადგილობრივ წარმოებას.

10. მულტიმედია წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუნყებლის მომდევნო წლების ტექნოლოგიური და ოპერაციული გარდაქმნის მთავარ ორიენტირს. მულტიმედია პრინციპებზე გადასვა ნიშნავს არა უბრალოდ ტექნოლოგიების შეცვლა-განახლებას, არამედ ფუნქციონირების ახალი სტილის დამკვიდრებას. როგორც მენეჯმენტი, ასევე ურუნალისტები და ტექნიკური პერსონალი კვალიფიკაციისა და პროფესიული საქმიანობის სტანდარტების ახალ საფეხურზე უნდა გადავიდნენ. მულტიმედია ორგანიზაციამ უფრო მჭიდრო ინტერაქციული კავშირი უნდა დაამყაროს მომხმარებელთან, რაც გულისხმობს როგორც შინაარსის ტრანსფორმაციას, ასევე ურუნალისტიკის ახალი ფორმების გაჩენას.

11. საზოგადოებრივი მაუნყებელი უნდა ემსახურებოდეს ყველა სოციალურ ჯგუფს, მაგრამ ერთი განსაკუთრებულ მიდგომებსა და ყურადღებას მოითხოვს - ესაა ახალგაზრდობა. ახალგაზრდობის საინფორმაციო გემოვნება და ქცევა საგრძნობლად განსხვავდება უფროსი თაობების ქცევისგან. ამდენად, საზოგადოებრივ მაუნყებელს სჭირდება განსაკუთრებული სტრატეგია ახალგაზრდა აუდიტორიასთან კომუნიკაციის დასამყარებლად.

12. საზოგადოებრივმა მაუნყებელმა რადიკალურად მეტი უნდა გააკეთოს განათლებისა და კულტურის დარგში, ვიდრე ის ამჟამად აკეთებს. განათლება უნდა გახდეს საზოგადოებრივი მაუნყებლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. განახლებული ტელევიზიის პროდუქციაში საგანმანათლებლო -შემეცნებითმა მაუნყებლობამ სულ უფრო მზარდი ადგილი უნდა დაიკავოს.

მოცემული პრიორიტეტები უნდა გახდეს ღია მსჯელობისა და განხილვის საგანი. მათი სიღრმისეული ანალიზისა და სრულყოფის შედეგად ჩვენ მოველით მაუნყებლის განვითარების სტრატეგიის საბოლოო ჩამოყალიბებას.

საზოგადოებრივი მაუნყებლის სამეურვეო საბჭო რეგულარულად შეათვასებს მაუნყებლის ფუნქციონირებას იმისდა მიხედვით, თუ რა წარმატებას მიაღწევს ის მისი სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევაში. ამისთვის მაუნყებლის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი უნდა მოიცავდეს წარმატების მიღწევის შეფასების სხვადასხვა მექანიზმებისა და მეთოდოლოგიებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო ითანამშრომლებს მაუწყებლის მენეჯმენტთან სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების პროცესში.